

საქართველოს კანონი

**“უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ” საქართველოს კანონში  
დამატებების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1. “უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ” საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 3, მუხლი 16.01.2006, მუხლი 16) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. მე-2 მუხლს დაემატოს “ო” ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

“ო) რეზიდენტი – უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ერთ-ერთ ქვეყანაში და გააჩნია ამ ქვეყანაში მუდმივი ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტი.”.

2. მე-4 მუხლის 5<sup>1</sup> პუნქტის შემდეგ დაემატოს 5<sup>2</sup> შემდეგი რედაქციით:

„5<sup>2</sup>. ამ კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ქვეყნების რეზიდენტებზე ვრცელდება ის სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც დადგენილია ამ ქვეყნის მოქალაქეების მიმართ.”.

მუხლი 2. ეს ცვლილება ძალაში შედის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ყოველი კონკრეტული ქვეყნის მიმართ, მის მიერ მოწოდებული მუდმივი ბინადრობის მოწმობის ნიმუშის მიღების დადასტურების დღიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი